ცნობის ფურცელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 2382 კვირა, 18 იანვარი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2382

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

მიიღება ხელის მოწერა 1904 წლისათვის.

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

სურათებიანის დამატებით კვირაში ორჯელ

(წელიწადი მეცხრე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით

კავკასიასა და რუსეთში:	საზღვარ-გარედ
1 წლით—6 მ., 6 თვით—4 მ.,	1 წლით—9 მ. 6 თვით—5 მ.,
1 თვით—50 კაპ.	1 თვით—90 კაპ.

თვიურ ხელის მომწერს სურათებიანი დამატება არ გაეგზავნება, თუ არ დაუმატა თვეში 25 კაპ.

წლიური ფასის განაწილება: ხელის-მოწერისათანავე 4 მ. დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიური ჟურნალი

„მოამბე“

(წელიწადი მეთერთმეტე)

ფასი ჟურნალისა

კავკასიასა და რუსეთში	საზღვარ-გარედ.
1 წლით—10 მ., 6 თვით—6 მ.,	1 წლით—13 მ., 6 თვით—7 მ.,
3 თვით—3 მან.	3 თვით—5 მან.

ვინც **„მოამბეს“** მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატებანი** და **„ცნობის ფურცელი“** უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

წლიურ ფასის განაწილება: პირველად—6 მან ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3. მ., 1-ლ აგვისტომდე დანარჩენი.

როგორც „ცნობის ფურცლის“, ისე „მოამბის“ მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ პრემიად ყველა ნაწერები

ალ. ყაზბეგისა.

„ცნობის ფურცლის“ დამატებაში დაიბეჭდება სურათები „საქართველოს ეთნოგრაფია და კულტურა სურათებში“, დასურათება დაიწყო გურიიდან. სურათები არის ფოტოგრაფიით გადაღებული და ხელით ნახატი ბ. გოგიაშვილის მიერ. გარდა ამისა „მოამბის“ ხელის-მომწერთ გაეგზავნებათ

ოთხი საყმაწვილო წიგნი სურათებით

(გამოვა სამ თვეში ერთხელ)

ოთხივე წიგნი შეადგენს 250 გვერდს.

წლიური ფასის გარდა ქალაქ გარედ ხელის მომწერლებმა, პრემიის გასაგზავნად, რედაქციის ფოსტის ხარჯად 55 კ. უნდა გამოუგზავნონ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. ტელეფონი №372

ფოსტის ადრესი: Тифлисъ въ редак. Моамбе и Цнобисъ Пурцели.

ქ უ თ ა ი ს შ ი

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების მნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (0—6.—28)

ე ქ ი მ ი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე, ნიკოლოზის ქუჩა სახლი № 46. (0—4)

კბილის ექიმი

ნ. ტყეშელაშვილი

ოლგას ქუჩა, № 31. მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე ნაშუადღევის 2—4-მდე. კვირაობით 10—6-მდე (0 31)

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღაამოობით 5—7-მდე. (0—8)

საუკეთესოდ მოწყობილი

ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა

წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ.. საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 21 სახლი ვაჩნაძისა. (0—3)

წარმ. 41.

ქართული თეატრი

კვირას, 18 იანვარს ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

ტასო აბაშიძის საბენეფისოდ

I

ეჭვით ავადმყოფი

კომედ. 3 მოქ. მოლიერისა, თარ. ი. მაჩაბლისა.

II

ბებიას საღერღელი

ვოდ. 1 მოქმ. თარგ. დ. აწყურელისა

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარელი, ნ. დავითაშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. ბაქრაძე, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, კ. მესხი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად: „ღალატი“ სუმბათაშვილისა.

რეჟისორ **ა კ ა კ ი.**

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

კვირას, 18 იანვარს, 1904 წ., ორი წარმოდგენა. დილით დაკლებულის ფასებით ბალეტი

„რობერტი და ბერტრანი“

ოპერა 3 მოქ. მუს. ოტტო-ნიკოლაისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი რენე-რადინა, სელიუკ, ლელინა, სკორუპსკაია; ბ-ნნი ფიგნერი, გლადკოვი, შმაკოვი, რჟანოვი, ფედოროვი, გრინევი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ა ნ ო ნ ს ი: 19 იან. წარმ. არ იქმნება; 21 იან. ბენეფ. ბელსკისა „აფრიკელი ქალი“; 22 იანვ. „ვინძორის ნათლიდედები“.

ნამდვილი თეთრი ცელულიარული აბრეშუმის ბრენა

ბაღდადის ჯიშისა, თითო კოლოფში ექვს-ექვსი მისხალი

ძმ. პასხალიდის.

ერთად-ერთი წარმომადგენელი კავკასიაში **ა. კ. ზახარიადისი**

ადრესი: დვორცოვი ქუჩა, სარაჯევის სახლი, სადგომის № 6. (10—10)

წარ. 42.

სახაზინო თეატრი

ქართული წარმოდგენა

სამშაბათს, 20 იანვარს, 1904 წელს.

ქ-ნ ე. მესხისა და ბ-ნ ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება პირველად ახალი პიესა

ღ ა ლ ა ტ ი

დრამა 5 მოქმ. თავ. სუმბათაშვილისა.

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი: ე. მესხი, ნ. დავითაშვილი, ა. კარგარეთელი, ელ. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: ვ. ალექსი-მესხიშვილი, დ. ბაქრაძე, ვ. გუნია, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, კ. მესხი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი. კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი: საოპერო შაბათის წარმოდგენებისა. დასაწყისი 8 საათზე.

ბილეთები იყიდება სახაზინო თეატრის კასაში.

რეჟისორი **ა კ ა კ ი.**

პიმენ გიორგის ძე და ნინო ავთანდილის ასული გაბაშვილები შვილებითურთ გულითად მადლობას უძღვნიან ყველა იმ პირთ, ვინც პირადათ ან დეპეშით თანაგრძნობა გამოუცხადეს ძვირფასის შვილის სვიმონის გასვენებაზე.

ე ქ ი მ ი

ა. ნ. დიასამიძე

(კანისა და ვენერიული)

დილის 9—11 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თვ.—0—8)

ტ ფ ი ლ ი ს ი ს

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ლ. ივ. ქამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.

ზრ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საშვებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ვ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—9 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ვ. ვ. სოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274**

საზღვარ-გარედ

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

შორეულ-აღმოსავლეთის საქმე

ინგლისურ გაზ. „დეილი მეილ“-ს დეპეშით ატყობინებენ ჩიფუდან: „7 იანვარი. ოთხი რუსის პოლკი—8 ათასი კაცი და ერთი ბატარეია—8 ზარბაზანი პორტ-არტურიდან გავიდნენ. ამბობენ, ეს ჯარი მდინარე იალუს შესართავთან, მანჯურიისა და კორეის საზღვარზე დაბინავდებაო. ამ ჯარს ერთი როტა საპიორიც თან გაჰყვა. ადმირალი ალექსეევიც ხარბინში წასასვლელად ემზადება. ჰფიქრობენ, რუსის ჯარის მთავარი ბინა ხარბინში დაიდებაო.

იგივე გაზეთი იუწყება: იაპონიის ელჩი ჩიფუში დარწმუნებულია, რომ ომი მოულოდნელად მოხდება. იქმნება ოფიციალურად არც-კი გამოაცხადონ ომი და პირდაპირ სამხედრო მოქმედება დაიწყონო.

ინგლისური გაზ. „დეილი ტელეგრაფ“-ი იუწყება: ჩვენ შევიტყეთ, რომ იაპონიამ რუსეთს შორეულ-აღმოსავლეთის ზღვაში ფლოტის შემცირებაც მოსთხოვა.

იაპონიის ელჩს ბარონ გაიაშის ლონდონში უთქვამს „რეიტერის სააგენტო“-სათვის: ჩვენ ეხლა რუსეთის პასუხს ველით. როდის მივიღებთ ამ პასუხს, არ ვიცი.

ცნობები რუსეთისა და იაპონიის მორიგებაზე

ინგლისურ გაზ. „პალ მალ გაზეთ“-ის ბერლინელი კორესპონდენტი იწერება: „უცილობელსა და უტყუარს ამბავს გატყობინებთ: რუსეთი და იაპონია უსათუოდ მორიგდებიან. ეს ამბავი ერთმა საქმეში ჩახედულმა კაცმა შემატყობინა. რუსეთი მალე ამ ამბავს ოფიციალურად გამოაცხადებს. მხოლოდ ის არავინ იცის, მარტო იაპონიას გაუგზავნის თავის პასუხს, თუ ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოს. ცოტა მოვიცადოთ და ამასაც გავიგებთ. ის-კი ნამდვილია, რომ პეტერბურგის მთავრობა იმდენად შეასრულებს იაპონიის მოთხოვნილებას, რომ შორეულ-აღმოსავლეთში ომი აღარ მოხდეს.

გერმანულ გაზ. „პოსტ“-ს სწერენ პარიზიდან: რუსეთი და იაპონია მორიგებით გაათავებენ საქმეს. რუსეთი მანჯურიაში ღია კარების პოლიტიკას აღიარებს და კორეის ნაწილს იაპონიას დაუთმობს.

კორეის საქმე

კორეიაში დიდი ბრძოლა ჰქონდათ რუსეთისა და იაპონიის მომხრე პარტიებს და ეს ბრძოლა, როგორაც სჩანს, იაპონიის მომხრე პარტიის გამარჯვებით დასრულდა. „ნიუიორკ-ჰერალდ“-ს სწერენ სეულიდან: „რუსეთის მომხრე პარტიამ იიონგიკის მეთაურობით არეულობა მოახდინა. იიონგიკი რუსეთის მომხრეა. ამ კაცს დიდი გავლენა აქვს კორეის იმპერატორზე. და თუ ი-ჩჟუსა და იონამპოს ნავთ-სადგურები აქამდე არ გაიხსნა, ეს სულ იიონგიკის ბრალია. რუსეთი დიდ დახმარებას უწევს იიონგიკს, სამაგიეროდ იაპონიასა და იაპონიის მომხრე პარტიას საშინლად სძულთ ეს კაცი. კორეიაში საიდუმლო საზოგადოებაც-კი დაარსეს იიონგიკის მოსაკლავად. კორეიელები მრავალ თხოვნას უგზავნიან იმპერატორს და სთხოვენ, იიონგიკი ან სიკვდილით დასაჯე, ან დაკარგე სადმეო. ყველაზე მეტად ეს კაცი იაპონიის მომხრე უმაღლესს მოხელეებს სძულთ“.

ამას წინად იმპერატორმა იიონგიკი სამხედრო მინისტრად დანიშნა, მაგრამ, როგორც ვიცით, იაპონიის მომხრე პარტიამ ისე გაუჭირა საქმე, რომ იიონგიკი ისევ ხელად გადადგა მინისტრობიდან.

„დეილი მეილ“-ს ატყობინებენ ტოკიოდან: 11 იანვარი. სეულში 50 ჯარის-კაცი და 100 მუშა გაგზავნეს. იაპონელი გენერალ-მაიორი იიში სეულს მივიდა. იაპონიის ჯარი კორეიაში წასასვლელად დაემზადა. 120 მოენე დაიქირავეს.

იაპონიის სავაჭრო ფლოტი

იაპონური გაზ. „ტოკიო კეიცაი“ სწერს: „იაპონიამ ევროპიულ სავაჭრო გემების აშენება მხოლოდ 1870 წელს დაიწყო. პირველად საქმე მეტად მძიმედ მიდიოდა წინ, ასე რომ 1892 წელს მხოლოდ 214 ათას ტონის სავაჭრო გემი ჰყვანდა იაპონიას, მაგრამ ჩინეთთან ომის შემდეგ, სულ რაღაც ოთხს წელიწადში ამ ფლოტს ერთი ოთხად მოემატა და 1902 წელს იაპონია 934 ათას ტონის პატრონი გახდა. მას აქეთ ხომ უფრო სწრაფად მატულობს ეს ფლოტი.

კამათი აბატ დელზორის საქმეზე

10 იანვარს საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ აბატ დელზორის საქმე განიხილა. პირველად კომბმა ილაპარაკა. პირველმა მინისტრმა მთავრობის გასამართლებლად სთქვა: უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომის განდევნა პირველი მაგალითი არაა. სრული 33 წელიწადია, რაც საფრანგეთის მთავრობა ამნაირად იქცევა. შინაგან საქმეთა მინისტრების ლუბესა, ფალიერისა, რიბოსა, ბრისონისა და ვალდეკ-რუსოს დროსაც მომხდარა ამნაირი ამბები. ასე რომ მარტო მე-კი არა, ამ რესპუბლიკელ მინისტრებსაც აკლდათ თურმე პატრიოტული გრძნობა (პალატაში დიდი ხმაურობაა). მაგრამ ამ მინისტრებში ერთმა თავის თხზულებიდან სულაც ამოშალა ელზას-ლორენის სახელი. ამ მინისტრის აზრით, ელზას-ლორენი სულაც აღარ არსებობს. ეს მინისტრი გახლავთ ჩვენის ოპოზიციის მეთაური. სახელად—რიბო ჰქვიან. იმის კალამმა მოსპო ყველასათვის დაუვიწყარი და

მწარედ მოსაგონებელი ქვეყანა—ელზას-ლორენი (მარჯვენა პარტია პროტესტს აცხადებს). კომბმა გაახსენა პალატას: როცა აბატი მიშელი და აბატი ზება განდევნეს, მაშინ ოპოზიციას პროტესტი არ გამოუცხადებიაო. ამის შემდეგ კომბმა აბატ დელზორის წერილები გააცნო პალატას. დელზორი ბულანჟეს თანაუგრძნობდა თურმე, პრეზიდენტებს კარნოსა და ლუბეს სასტიკად ჰკიცხავდა და ჟულფერის თხზულებებს მკაცრად ჰგმობდა. დასასრულ კომბმა სთქვა: პალატა ან აბატის დამცველებს, სამინისტროს მტრებს უნდა მიემხროს, ან ჩემ სამინისტროს დაუჭიროს მხარიო. ჩემი სამინისტრო სრული 20 თვეა მედგრად ებრძვის კლერიკალურ და ნაციონალისტურ რეაქციას. იმედი მაქვს, პალატა სამინისტროს მხარეს დაიჭერს (მარცხენა პარტია ძლიერ ტაშს უკრავს).

კომბს რიბომ უპასუხა: „პირველი მინისტრი ამტკიცებს, დელზორის საქმე სულ ნაციონალისტებმა გაზვიადესო. ეს ტყუილია. დელზორის განდევნა მთელს საფრანგეთს ეწყინა. ჩვენში ყველა ინტერ-ნაციონალისტი თავისუფლად ცხოვრობს, მაშ საწყალ ელზასელ მღვდელს რაღად მოექცნენ ასე სასტიკად? ჩვენ ძმებს განა ასე უნდა ვექცეოდეთ? მთელი საფრანგეთი ძმურ სალამს უთვლის ელზას-ლორენს“ (მარჯვენა პარტია ძლიერ ტაშს უკრავს).

ხანგრძლივ კამათის შემდეგ პალატამ 295 ხმის უმეტესობით 242 წინააღმდეგ მთავრობას ნდობა გამოუცხადა და მორიგ საქმეთა განხილვას შეუდგა.

ავსტრია და შორეულ-აღმოსავლეთის საქმე

ჩეხური გაზეთი „ნაროდნი ლისტი“ სწერს: ეტყობა, ავსტრია ცდილობს რუსეთ-იაპონიის დავა თავის სასარგებლოდ გამოიყენოსო. მართალია რუსეთსა და ავსტრიას ბალკანეთის საქმეებზე შეთანხმება აქვთ დადებული, მაგრამ თუ შორეულ-აღმოსავლეთში ომი ასტყდა, შეიძლება ამ შეთანხმებას თავისი ძალა დაეკარგოს. ავსტრო-ჰუნგრეთში ამის თაობაზე ეხლა მოურიდებლად სწერენ. ხორვატების მოღვაწე დოქტორ ფრანკი აშკარად ურჩევს ავსტრიის მთავრობას, სანამ რუსეთი შორეულ-აღმოსავლეთში დავიდარაბას უნდება, ბოსნია-ჰერცოგოვინა ოფიციალურად შემოიერთეთ და რუსეთთან დადებული პირობა დაარღვიეთო. გერმანული გაზეთებიც ამასვე ურჩევენ ავსტრიას. ჰუნგრები ხომ სიხარულით ფეხზე აღარა დგანან. ერთი ჰუნგრი პოლიტიკოსი სწერს: რუსეთ-იაპონიის დავამ დიდი სარგებლობა მოუტანა ავსტრიას. რუსეთი მხოლოდ ამ დავის წყალობით მოურიგდა ავსტრიას მაკედონიის საქმეზე. ჩვენ უნდა ვეცადნეთ, შორეულ-აღმოსავლეთის საქმე, რაც შეიძლება, მეტს ხანს გაჭიანურდეს. ამ დროს ავსტრიამ ბალკანეთში თავისი საქმე უნდა გაარიგოსო.

„ნაროდნი ლისტი“ თავის მხრივ უმატებს: ავსტრია ცდილობს, სერბიის არეულობა უფრო უარესად გააძლიეროს და მეფე პეტრე ისეთსავე გაჭირვებაში ჩააყენოს, როგორშიაც მეფე მილანი და ალექსანდრე ჩააყენა. სერბიის მეფე ისეთს განსაცდელში უნდა ჩააგდოს, რომ თითონვე ეხვეწებოდეს ყოვლად მხსნელ ავსტრიას, მიშველე რამეო. თუ შორეულ-აღმოსავლეთში მოხდა რამე, ავსტრია უფრო გაბედულად მოექცევა სერბიას, ვიდრე 1903 წელს მაისში მომხდარ არეულობის დროს მოექცა. ჯერ-ჯერობით კი ავსტრიის მთავრობამ ოსმალეთის მთავრობისაგან რამდენისამე რკინის გზის აშენების ნება-რთვა აიღო.

ახალი ამბავი

◆ მიხეილ საბინინის ბიბლიოთეკის გადათვალიერების დროს ბ-ნმა მ. გ. ჯანაშვილმა აღმოაჩინა, სხვათა შორის, ერთი ხელთნაწერი, **„ქართლის ცხოვრება“** საქართველოს უკანასკნელ მეფის მემკვიდრის დავითისა და იმის ძმების მიერ შედგენილი. ამ დიდ წიგნში ქრონოლოგიურს რიგზე მოთხრობილია ამბები საქართველოსი და სხვა ქვეყნების შესახებ 1744 წლიდან მოკიდებული 1840 წლამდის. პირველი მეოთხედი წიგნისა მთლად შეეხება საქართველოს, დანარჩენი საქართველოსა და იმ ქვეყნებში მომხდარ ამბებს, რომელთაც დამოკიდებულება ჰქონიათ საქართველოსთან. რამდენიმე ფურცელი ამ ხელთ ნაწერისა დაბეჭდილი აქვს, ცვლილებით, დავით ჩუბინაშვილს „ქართლის ცხოვრების“ მეორე ტომში. ხელნაწერში საყურადღებო ამბებია საქართველოს სამეფოს უკანასკნელ დროისა, სამეფო სახლის წევრებისა, იმათი ბრძოლისა და გადასახლებისა და საქართველოში რუსეთის მთავრობის წეს-წყობილების შემოღება—დამკვიდრების შესახებ. სხვათა შორის, მოთხრობილია რა დროს იყო ჰირიანობა და რა დიდი ზარალი მიაყენა ხალხს. არ არის დატოვებული მოუხსენებლად არც ერთი ამბავი, არც ერთი შემთხვევა, რომელიც მომხდარა აღნიშნულ დროს განმავლობაში იმერეთსა, გურიასა, სამეგრელოსა, აბხაზეთსა, სვანეთსა და რანაირად ვრცელდებოდა რუსეთის ძლიერება-მპყრობელობა კავკასიასა და სპარსეთ ოსმალეთისაკენ. მეტად საყურადღებოა აგრეთვე ცნობები იმის შესაიებ, თუ როგორ გაიპარა ტფილისიდან აქ დატყვევებული იმერეთის უკანასკნელი მეფე სოლომონ მეორე. კარგი იქნება ამ წიგნის გამოცემა.

◆ **თელავი**. 14 იანვარს თელავის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელმა ჩვეულებისამებრ იდღესასწაულა ნინოობა. ამ დღეს წაიკითხეს სასწავლებლის ვრცელი ანგარიში. საღამოთი მოსწავლეთ მეჯლიში გაუმართეს. სასულიერო სასწავლებელში ქართულად შეასრულეს წირვა-ლოცვა. ამ დღეს ყველა სასწავლებელში მოწაფენი თავისუფალნი არიან, მარტო საქალაქო სასწავლებელში მეცადინეობენ.

◆ 16 იანვარს მოხდა კავკასიის **სამკურნალო საზოგადოების** კრება. კრებამ მოისმინა ექიმის მაისურიანცის მოხსენება ხალხში სამკურნალო ცოდნის გავრცელების შესახებ. ბ-ნ მაისურიანცმა კრებას წარუდგინა აგრეთვე მოკლე დარიგება, რომელიც უნდა დაიბეჭდოს და უსასყიდლოდ დარიგდეს ხალხში. კრებამ მოიწონა მოხსენება და დაადგინა, დაბეჭდოს დარიგება ადგილობრივ და რუსულ ენებზე და გაავრცელოს ხალხში. მიმდინარე საქმეების განხილვის შემდეგ კრებამ დაადგინა, შუამდგომლობა აღძრას უმაღლეს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ნება მიეცეს საზოგადოებას, გამართოს უფასო საოჯახო ლექციები ხალხისათვის.

◆ როგორც ტფილისიდან გაზეთ „ბირჟ. ვედომ.“-ს დეპეშით ატყობინებენ, ჩატმას, ინგლისის სამრეწველოში, 53 საჟენის სიღრმეზე, **ნავთი აღმოჩენილა.** ჯერ-ჯერობით მიწის თხრისათვის თავი გაუნებებიათ და იმის გამოკვლევას შესდგომიან, დღე-ღამეში ერთ ჰას რამდენი ნავთის მოცემა შეუძლიან. დეპეშაზე ხელი უწერიათ ინგლისის საზოგადოების საბჭოს წევრებს ბ-ნთ აბაზასა და კარუნჩიკს.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა მოხსენება **ხელოსანთა საზოგადოების** ამქრებისა გადასახადების გაწერის შესახებ. რადგან უსტაბაშსა და დეპუტატებს წელს ჩვეულებრივზე მეტი გადასახადი გაუწერიათ, გამგეობამ დაადგინა, დაუბრუნოს ოქმები ამ საქმის შესახებ და წინადადება მისცეს, გადაათვალიერონ ხარჯის გასაწერი ფურცლები.

◆ 16 იანვარს მოხდა სხდომა ტფილისის ქალაქის გამგეობისა, რომელსაც დაესწრნენ საკრედიტო საზოგადოებისა და საურთიერთო კრედიტის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარენი და სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების გამგე. ამ სხდომაზე განიხილეს ქალაქის მოურავის მოხსენება მესამე საობლიგაციო სესხის ობლიგაციების ერთის ნაწილის განაღდების შესახებ. კრებამ დაადგინა, გაანაღდოს სესხის 200,000 მან. ობლიგაციები; გამოაცხადოს ადგილობრივ და რუსეთის გაზეთებში, რომ ტფილისის გამგეობასა და ყველა ბანკსა და საბანკო კონტორებში მიიღება ხელის მოწერა მესამე სესხის ობლიგაციების შესაძენად. ობლიგაციები უნდა შეძენილ იქმნენ 5-დან 10 მარტამდე.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა, **ქალაქის საავადმყოფოს კუკიის განყოფილება** დასტოვოს ისევ ქამოევის სახლში 1905 წლის ივლისამდე, ვადა გაუვიდა ამ სახლის იჯარას და ჰფიქრობდნენ სხვაგან გადატანას.

◆ ტფილისის პოლიცმეისტერმა ყურადღება მიაქცია ქალაქის **ქუჩების უსუფთაობას** და დაავალა პოლიციის მოხელეებს, თვალ-ყური ადევნონ, რომ მეეზოვეები კარგად და დროზე ასუფთავებდნენ ქუჩებს.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ **ქალაქის მე-8 ნაწილის ექიმად** დანიშნა ტიგრან ხარაზოვი და იმასვე დაავალა ზედამხედველობა ქალაქის სამკურნალოს დიდუბის განყოფილებისა.

◆ ამ ჟამად ტფილისის **საყასბოს ბეითალის ადგილი** თავისუფალია, რადგან ბეითალი კანცელმახერი ხორცის დუქნების გამგედ დანიშნა გამგეობამ. კანდიდატად ამ თანამდებობაზედ დასახელებულია ბეითალი პესკოვი. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, სთხოვონ ცნობები პეტერბურგის ქალაქის გამგეობას ბეითლის პესკოვის შესახებ, რომელიც პეტერბურგში მსახურებდა.

◆ ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის საპედაგოგიო საბჭოს შეუმუშავებია პროექტი სასწავლებლის მოსამსახურეთა [illegible] შემნახველ-გამსესხებელ კასისა. სასწავლებლის დირექტორმა პროექტი გუშინ წარუდგინა ქალაქის გამგეობას და სთხოვა, იშუამდგომლოს ნება მიეცეს სახელოსნო სასწავლებელს კასის დაარსებისა.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ, თავ: ვ. ნ. ჩერქეზიშვილის მოხსენების თანახმად, დაად-

ფელეტონი

პატარა ამბები

საგულისხმიერო მოვლენა —ი. გოგებაშვილის და პ. სურგულაძის წერილების გამო. —Pro mortuo.

მეტად საგულისხმიეროა, რომ დღევანდელის ცხოვრების არეულ-დარეულობამ ეკკლესიამდისაც მიაღწია, ეკკლესიის კათედრიდანაც გვესმის მოუწყობელი ცხოვრების ხმა, სამღვდელოებამაც დაინახა, რომ „სარწმუნოება“ შეირყა და დედამიწაზე, ცხოვრებაში აღარ არის ის, რაც სწერია საღვთო წერილებში. არის ის, რაც არ უნდა იყოს, აღარ არის ის, რაც უნდა იყოს. რითი აიხსნება, ასეთი წინააღმდეგობა? სად არის ის ძმობა, ის სიყვარული, რომლისთვის მოგვიწოდებდა იესო? სად არის ქრისტიანობა, რომელსაც უნდა მოესპო სიღარიბე, უთანასწორობა და უსამართლობა? სადღა არის სამეფო ქრისტესი? იგი უკვე არსებობს, თუ მომავალში უნდა მოველოდეთ? როგორის გზით უნდა მივუახლოვდეთ მას და როგორი უნდა იყოს თვითონ იგი? აუცილებელი საჭიროა სოციალურ-ქონებრივი თანასწორობა, თუ საკმარისია იდეური, სულიერი თანასწორობა?.. ასეთი და სხვა მრავალი კითხვა ებადება დღეს სამღვდელოებასაც. სხვა საგანია, რამდენად შესძლო მან, გზა გაეკვლია ამგვარ რთულ კითხვებში და გამოენახა ჭეშმარიტი, მტკიცე ნიადაგი, რომელზედაც უნდა დამყარდეს დღევანდელი ცხოვრება, სხვა საგანია, როგორს აქტიურს როლს თამაშობს სამღვდელოება. აქ მხოლოდ საყურადღებო ისაა, რომ ცხოვრებაში ღრმა, დიდი ცვლილებები ხდება, ცხოვრება ფართოდ გადაიშალა და ყოველი მხარე და კიდე შეარყია, დააფიქრა, გონება ამოძრავა...

ყველაფერი ეს შეეხება უპირველესად ევროპის სამღვდელოებას, სადაც შედარებით ცხოვრება ძლიერ წაწეულია წინ და მისი განსაკუთრებული დამახასიათებელი თვისებები უფრო გამოაშკარავებულია. ბოლო დროს აქა-იქ რუსეთის სამღვდელოებაშიაც ვხედავთ მსგავს მოვლენებს, რუსეთის სამღვდელოებაც შეეხო ეკკლესიაში თუ ეკკლესიის გარეშე თანამედროვე ჭირ-ვარამის კითხვებს. საკმარისია გავიხსენოთ პეტერბურგელი მოძღვარი პეტროვი. ჩვენშიაც ცდილობენ სულიერი მამები, ჩაიხედონ ცხოვრების გულში, იგრძნონ მისი მაჯის ცემა და დასდონ თავისებური წამალი დღევანდელს სნეულებას. მაგრამ უნდა აღვიაროთ, რომ ეს ნაკლებად ეხერხებათ მათ. მიტომ... მიტომ, სხვათა შორის, რომ ფორმალურად უყურებენ ცხოვრებას და ადამიანებს. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს მამა კ. ცინცაძის სიტყვა, წარმოთქმული ქვაშვეთის ეკკლესიაში 21 წარსულს დეკემბერს.

რას უნდა ვესწრაფოდეთო? გვეკითხება მოძღვარი. და თვითონვე გვაძლევს სწორ პასუხს: საგანი ჩვენის ცხოვრებისა არის და იქნება, რათა „გამოიხატოს ჩვენსა შინა ქრისტე“. ვამბობ სწორს პასუხს, რამდენად მ. ცინცაძის სიტყვები არ შეიცავს ფორმალურს მოთხოვნილებას და რამდენად ქრისტე არის მისთვის ჭეშმარიტი განხორციელება ცხოვრებაში ძმობის მცნებათა.

მაგრამ უბედურებაც ეგ არის, რომ ქრისტე არ არის თანამედროვე ქრისტიანების წინამძღოლი და ხელმძღვანელი. ქრისტეს ვემორჩილებით სიტყვით და არა საქმით. აქედან ადვილი წარმოსადგენია ჩვენი აზრების და გრძნობათა არევ-დარევა, ულოღიკობა, ერთი მეორის წინააღმდეგობა. ეს წინააღმდეგობა ძლიერ ცოტა იყო პირველი ქრისტიანების ცხოვრებაში, რომლებიც ჰფიქრობდნენ და მოქმედობდნენ ქრისტეს მცნების მიხედვით...

თანამედროვე მოძღვარისათვის ნათლად უნდა იყვეს დაყენებული წინ მარტივი საგანი: დღევანდელი ცხოვრება ეთანხმება იესოს მცნებას თუ სრული უარყოფაა მისი? ლოღიკურად თუ გაყვება ამ კითხვას ბოლომდის, მაშინ მისი შეხედულობა სხვანაირ მიმართულებას მიიღებს, არ იქნება არეულ-დარეული, აღარ შეიცავს ერთის მეორის წინააღმდეგ აზრებს...

მაშინ არაფრად მოსატანი იქნება „ბიზანტიის და სპარსეთის გავლენით აღზრდილნი ჩვენი მამა-პაპანი, რომელნიც ვითომც რუსეთთან შეერთების დროს ახალ-წესწყობილებისათვის სრულებით მოუმზადებელნი იყვნენ და ამიტომ ცხოვრებას ჩამორჩნენ“, არც საყვედური იმ ვითომ ცრუ-განათლებულთა მიმართ, რომლებიც ვითომც უარ ყოფენ ზნეობას ხალხისათვის და ქადაგებენ, რომ სამღვდელოება მშრომელ და ღარიბ ხალხს აწევს კისერზეო; უადგილოა იმის მოტანაც, რომ ვითომც დღევანდელს უბედურებას შეადგენს ქურდობა-ავაზაკობა, უზრდელი სიტყვა-პასუხი, კაცთა კვლა, დედ-მამის ავად მოპყრობა, უფროსის შეურაცხყოფა,—უადგილოა, რადგან უკულმართობა უფრო ღრმადაა და ქურდობა-ავაზაკობა და სხვა მაგგვარი—ნაყოფია მხოლოდ უფრო ღრმა, ძირთად უკულმართობისა...

* *

ჩვენის ეხლანდელის მდგომარეობის განსაკუთრებული თვისებაა ის ხასიათის გამოურკვევლობა, ის ზნეობრივი რყევა და მოქმედების გაუბედაობა, რომელიც ახასიათებს ჩვენებურს განათლებულს პირებს, ინტელიგენტებს. ჩვენ—ინტელიგენტს არა გვაქვს ერთი სისტემა, არ გვყავს ერთი ღმერთი, რომლითაც გამსჭვალული უნდა იყოს მთელი ჩვენი სხეული, არა გვაქვს ერთნაირი ორგანიზმი. ეს, მგონია, ამის უმთავრესი მიზეზი არის ჩვენი [illegible], რომელიც დამყარებულია ორს თუ მეტს ენაზე და ამგვარად რამდენსამე ნაწილად აპობს ჩვენს ბუნებას, რომელიც არ გვაძლევს განათლებას (პირველდაწყებითსა მაინც) სამშობლო ენაზე, ერთს ენაზე დაწყებულს განვითარებას განაგრძობს მეორეზე, არ შეგვასწავლის საფუძვლიანად არც ერთს, არც მეორე ენას, რის გამო ჩვენს აზრებსაც ეკარგებათ გამორკვეულობა. როდესაც ჩემს წინ დგას ქართველი ინტელიგენტი, რომელიც ერთს ენაზე არ ლაპარაკობს, ერთით დაიწყებს, რომ მეორეზე გადავიდეს, მერე ისევ პირველს დაუბრუნდება, რომ კვლავ სხვა ენით განაგრძოს,—ჩემთვის უეჭველია, რომ ასეთს ადამიანს აზრებიც და ფიქრებიც არეულ-დარეული ექნება და მისი ხასიათიც მოკლებული იქნება სიმტკიცეს.

ამ დღეებში ქართულ ენაზე დაიბეჭდა ორი საინტერესო და მეტად საყურადღებო წერილი: „ბურჯი ეროვნებისა“ ი. გოგებაშვილისა და „ენა და ერი“ პ. სურგულაძისა. ერთი ცალკე წიგნად გამოვიდა (იგი მეორე შევსებული გამოცემაა „ძირითადი უკულმართობისა“), მეორე—მოთავსებულია ამ წლის „საქართველოს კალენდარში“ (გვ. 534—562). ორივე წერილის საგანი ერთია—ენის დედა-ენის მნიშვნელობა ეროვნულ, კულტურულ ცხოვრებაში. ერთი ენის დინამიკაა, მეორე მისი სტატიკა, თუ შეიძლება ავრე ვთქვათ. ბ. გოგებაშვილი გვიმტკიცებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს დედა-ენას ადამიანის აღზრდაში, განვითარებაში, ერის კულტურულ მოძრაობაში. ბ. სურგულაძე მოგვითხრობს უმთავრესად ენის განვითარების ისტორიას, რომ ენა პირველად უბრალო ყვირილი იყო გრძნობათა გამოსახატავი, ყვირილი საერთო ყველა ცხოველისა, რომ იგი თანდათან, ნელ-ნელა განვითარდა ადამიანის ფიზიკურ განვითარებასთან ერთად, რომ იგი შეადგენს ადამიანისათვის თითქმის

ანა, წინადადება მიეცეს ხორცის დუქნების გამგე კომისიას მიიწვიოს საქმის მწარმოებელი კომისიის საქმეების საწარმოებლად. საქმის მწარმოებელს კომისიამ ჯამაგირი უნდა დაუნიშნოს იმ თანხიდან, რომელიც ქალაქის დუქნების საქმეების საწარმოებლად არის გადადებული.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ, საყასბოს გამგის შუამდგომლობის თანახმად, გადასდო ფული საკლავ საქონლის ბაგის შესაკეთებლად ავლაბარში.

◆ ტფილისის მიხეილის საავადმყოფოსთან დაარსებულ ფერშლის სკოლაში ამ ჟამად სწავლობს 90 მოსწავლე. აქედან 80 მოსწავლე ქართველია, 3 რუსი, 2 სომეხი, 2 თათარი და ორიც ლეკი.

◆ გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობამ პოლიცმეისტერს გაუგზავნა სია იმ ქუჩებისა, რომლებზედაც სხვა-და-სხვა ფირმებს შეუძლიანთ ხის ბოძები დასდგან და კერძო სახლების გასანათებლად მავთულები გაიყვანონ. გამგეობამ სთხოვა პოლიცმეისტერს, განკარგულება მოახდინოს, რომ სიაში აღნიშნულ ქუჩებს გარდა სხვაგან არავის მიეცეს ელექტრონის ბოძების და მავთულების გამართვის ნება.

◆ 16 იანვარს, დილის 10 საათზე, მიხეილის პროსპექტზე სომეხ-გრიგორიანთა თანდოევის ეკლესიის სახურავს რაღაც მიზეზის გამო გაუჩნდა ცეცხლი. ცეცხლი კარგად მოედვა ეკლესიის სახურავს, როცა მივიდა ცეცხლის მქრობელი რაზმი, რომელმაც, კარგა ხანს ბრძოლის შემდეგ, ჩააქრო ცეცხლი. ეკლესიას კარგა ზარალი მოუვიდა.

„ცნ. ფ.“ დღევანდელ №-თან მკითხველთ ვუგზავნებით **სურათებიან დამატების** მე-185 №, რომელშიაც მოთავსებულია: „უპატრონო“, მოთხრობა მ. ადამაშვილისა (გაგრძელება); სურათები: „ყვავილები“, ვობრინგისა; „არაბთა ბანაკში“, ვომბისა; „ქვეყანაზე უპატარესი ცხენი“; „ბერლინის ზოოლოგიურ ბაღში ლომის გაწრთვნა“ და ორი კარიკატურა.

შემოწირულება

მოსწავლე-ქალის ს. გ—შვილის სასარგებლოდ ჯერ-ჯერობით შემოვიდა: ალ-გან—1 მ., გ. ლ-გან—1 მ, №-გან—1 მ., გ. ზ. მაჩაბლისაგან—3 მ.. ნიკო თ-გან—1 მ., ს. ბ-გან—3 მ. გვენცაძესაგან—50 კაპ. და ოქრუაშვილისაგან—50 კ.

შინ და გარედ

58.

მარგანეცის მრეწველთა შარშანდელი კრება უნაყოფოდ არ დარჩა. ნაყოფიც კარგია,—კარგი მოუვიდა სახელოვან ოპოზიციას!

იქმნება მკითხველს არ დაუვიწყნია, რა სიცილ-ხარხარით მიეგება „კვალი“ ჩვენს წინასწარმეტყველებასა და გაფრთხილებას მრეწველთა თვით-მმართველობის განსაცდელში ჩაგდების შესახებ. მაგ ოინით გინდათ გაგვაჩუმოთო; მაგ საშიშ ტყუილების გავრცელებით გინდათ დაგვაძინოთო და სხვა ამისთანები ბევრი გვიკიჟინეს. ბ. უმიკაშვილი, რომელმაც პირველად გააფრთხილა ოპოზიცია—აურ-ზაურს ნუ ასტეხავთ და თვითმმართველობას გასაჭირში ნუ აგდებთო,—სასაცილოდ აიგდეს შორს-გამჭვრეტ პუბლიცისტებმა.

სამწუხაროდ, ჩვენი მოლოდინი კიდეც გამართლდა და მალეც გამართლდა: კრებისა და საბჭოს უფლებათა შეზღუდვა განუზრახავთ და უკვე პროექტიც შეუდგენიათ ახალის დებულებისა.

ოპოზიციამ მხნედ იმუშავა: ბევრი იყვირა „ბოროტ-მოქმედებათა“ შესახებ, urbi et orbi ღაღადებდა საბჭოს „თავგასულობისა“ და უფლებათა „ბოროტად“ მოხმარების შესახებ. ესე ღაღადი და ყვირილი, რასაკვირველია, არ დარჩა ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა და აი, ახალი დებულებაც მოგვართვეს. რაღა გვიჭირს: „თავგასულ ბოროტ-მომქმედთ“ ხომ მოვიშორებთ აწი თავიდან და, უეჭველია, ახალის დებულების მეოხებით უფრო მედგრად დავიცავთ სამართლიანობას!

ახალ დებულების უმთავრესი აზრია, როგორც „კავკაზ“-ი გადმოგვცემს, გაძლიერებულ იქმნას ადმინისტრაციის კონტროლი კრებისა და საბჭოს მოღვაწეობაზე ამისათვის ამიერიდან საბჭოს თავმჯდომარის არჩევნები მიწათ-მოქმედების მინისტრმა უნდა დაამტკიცოს, ხოლო ხარჯთ-აღრიცხვა თავდა-პირველად უნდა წარედგინოს სამთო უწყებას, რომლის შენიშვნები სავალდებულო იქმნება კრებისა და საბჭოსათვის; ამასთანავე სარევიზიო კომისიაში მთავარ-მართებლის წარმომადგენელნიც უნდა იყვნენ, რომელთა შენიშვნები აგრეთვე სავალდებულო იქმნება თვით-მმართველობისათვის.

უფრო საყურადღებოა ამ პროექტში ხარჯთ-აღრიცხვის ამბავი. ასეთივე წესი არსებობდა თერგის ოლქის ნავთის მრეწველთა კრებისთვისაც: მას თავისი ხარჯთ-აღრიცხვა უნდა წარედგინა საოლქო მმართველობისათვის და წლობით უნდა ეცადნა დამტკიცებისათვის. ასეთმა „წესმა“ სრულიად შეაჩერა თვითმმართველობის მუშაობა და, ბოლოს, თერგის ოლქის ნავთის მრეწველებმა დაადგინეს სრულიად მოსპონ თვითმმართველობა...

ახალი დებულება, უეჭველია, ხელსაყრელი არ იქნება შორაპნის მრეწველთათვისაც და ამიტომ საჭიროა, მომავალმა საგანგებო კრებამ იშუამდგომლოს ისევ ძველის დებულების დატოვების შესახებ. ან იქნება „ოპოზიციას“ ჰსურს მაინცა და მაინც მოსპოს მრეწველთა თვითმმართველობა? აკი იძახოდა, ახლანდელ თვითმმართველობის არსებობას სულ არაფერი იყოს—ისა სჯობიაო?!

მაგრამ, „что имъ Гекуба“?... მჯერა. არც ეწყინებათ მრეწველთა თვითმმართველობის დარღვევა; საწყენად, ალბათ, ის დარჩებათ მხოლოდ, რომ კრებაზედ აღარ შეეძლებათ კლავინდებურის აურ-ზაურის ატეხა!...

გან

რუსეთის ქრონიკა

◆ 1902 წელს მოსკოვში სალიტერატურო საღამო იყო გამართული. საღამოს გამგე იყო ცნობილი მწერალი ლეონიდ ანდრეევი, რომელმაც მეორე მწერალს, სკიტალეცს ისეთი ლექსის წაკითხვის ნება მისცა, რომლის რამდენიმე სტრიქონი ცენზურისაგან ნება დართული არ იყო. ამისთვის ანდრეევი პასუხის გებაში მისცეს და წარსულ წელს მოსკოვის ოლქის სასამართლომ იგი გაამართლა, მაგრამ პროკურორმა მურატოვმა საქმე იმავე სასამართლოს სისხლის განყოფილებაში გადაიტანა. სასამართლოს ანდრეევი დამნაშავედ უცვნია და გადაუწყვეტია: ან 5 დღით იქმნას დაპატიმრებული, ან 25 მანეთი ჯარიმა გადაჰხდეს.

◆ უკანასკნელ დროს იურიევის უნივერსიტეტიდან მრავალი პროფესორი გავიდა. ოც კათედრამდე უპროფესოროდ დარჩა.

◆ „ფინლ. გაზ“.-ში დაბეჭდილია ნიულანდის გუბერნატორის ბრძანება: „1) მთავრობის ნება დაურთველად აკრძალულია კრებები, სახალხო კითხვები, კონცერტებისა და წარმოდგენების გამართვა, საჯარო სეირნობა და სხვა; 2) ნება დართულ პროგრამისა და სხვა დადგენილებათა ცოტათი მაინც შეცვლა აკრძალულია; 3) ამ დადგენილების დამრღვევნი ან დაჯარიმებულ იქნებიან—400 მარკამდე, ან დაპატიმრებულ.

◆ „რუს. ინვალ.“-ში დაბეჭდილია: „27 ენკენისთვეს 1903 წ. ქალაქ სარაპულში კაზანიდან პერმში მიმავალი გენერალი გემიდან ნაპირს გადმოვიდა. ნაპირზე, სხვათა შორის, მოსკოვის სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი ა. ანდრეევი (იგივე დანილოვი) და ქ. სარაპულის მცხოვრები ი. მენშიკოვი იდგნენ. ანდრეევმა რომ გენერალი დაინახა, უშვერი სიტყვებით ლანძღვა დაუწყო და ზურგშიც ძლიერ დაარტყა. გენერალმა დარაჯებს ანდრეევის დაჭერა უბრძანა, რაიც შესრულებულ იქმნა. ამ ქცევისათვის ანდრეევს ადმინისტრატიულის წესით გადაუწყვიტეს, ჯერ საპყრობილეში ორის წლით დაპატიმრება, შემდეგ ორის წლით გაგზავნა იაკუტსკის ოლქში, სადაც პოლიციის პირად ზედამხედველობის ქვეშ იქნება.

კავკასიელ მხატვართა სურათების გამოფენა

შეხვალთ თუ არა სამხედრო მუზეუმში, სადაც სურათებია გამოფენილი, შეგიძლიანთ აქეთ-იქით თითი გაიშვიროთ და თამამად სთქვათ: ეს სურათი ბაშინჯაგიანისაა, ესეც იმისია, ისიც, აი ესეც. ეს ხომ ზახაროვისაა, ეს ფოგელისაა, აგე ის სკლიფასოვსკისა. ეს კი უეჭველად ზანკოვსკისა იქმნება და სხვა. თუ ამ მხატვრების სურათები ერთხელ მაინც გინახავთ, ეხლანდელ გამოფენაზე ამა თუ ის სურათის ავტორის დასახელება თამამად შეგიძლიანთ, იშვიათად თუ შესცდებით. გამოფენა მეტად ნაყოფიერია და სურათების რიცხვი სამასამდე ადის, რაც ჩვენის მხატვრების ბეჯით მუშაობას ამტკიცებს. გამოფენის საზოგადო ხასიათი დამაკმაყოფილებელი ვერ არის. სურათების თითქმის ცხრა მეათედი პეიზაჟია, დანარჩენი ძალიან მცირე ნაწილის გარდა, სულ უბრალო სურათ-ხატები, პორტრეტებია. არა სჩანს არც ყოფა-ცხოვრების სურათები (ჟანრი) და არც მხატვრობის სხვა დარგი. გამოფენის სუსტი მხარე-კი უმთავრესად ის არის, რომ ორიოდე სურათის გარდა, ყველა დიდი სურათიც-კი, ის უბრალო ეტიუდებია, რომელნიც ნამდვილ სურათის ნაწილს შეადგენენ.

სურათების ავტორთა ერთის შეხედვით გამოცნობა ზოგი მხატვრისთვის სასახელოა, ზოგისთვის-კი, პირიქით, კარგის მომასწავებელი არ არის. ავიღოთ, მაგალითად, ბაშინჯაგიანის, ზახაროვისა და ზანკოვსკის სურათები. სამივე მხატვარი თავიანთ მიმართულებით მჭიდროდ არიან შეკავშირებულნი. ზანკოვსკი ყოველთვის მთის მწვერვალებს ჰხატავს და თავის სურათებს ყოველთვის ერთხელვე აჩემებულ ფერით ანათებს. ზანკოვსკის მთები ყოველთვის, თუმცა კარგად, მაგრამ მაინც მოწითანო და მკრთალის ლილის ფერით არის შეღებილი. ზახაროვის სურათებიც ყოველთვის და ხშირად გადაჭარბებუ-

---

გვარსავე აუცილებელ ბუნებრივ ნაწილს, როგორც არის რომელიმე ორგანოი, ამიტომ ყოვლად შეუძლებელია, ვილაპარაკოთ, რომ ვითომც ენა რაღაც გარეგანი იარაღია, რომელიც სრულიად უვნებლად შეიძლება გამოვცვალოთ და დედა-ენის მაგიერ მივიღოთ სხვა, უცხო ენა.

იმედია, მკითხველი პირადად წაიკითხავს ხსენებულს წერილებს, მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია, მოვიყვანო აქ ზოგიერთი აზრი. როგორც ზევით მოვიხსენიეთ, პირვანდელის ადამიანის, ანუ ადამიანის წინაპრის ენა ემსგავსებოდა დღევანდელ პირუტყვების „ენას“. „ენით ერთი ინდივიდი მეორეს თავის აზრს და სურვილს გადასცემს. მაშასადამე, ენის არსებობა მოითხოვს ინდივიდთა კრებულს, აქედან ცხადია, რომ ენის განვითარებაც მჭიდროდ შეკავშირებულია საზოგადოებრივ ცხოვრებასთან. რამდენად ესა თუ ის ცოცხალი არსება თავის მსგავსთა მჭიდრო საზოგადოებაში ცხოვრობს, იმდენად ენაც უფრო მაღლა დგას“. (იგ., 539) „ინდივიდთა ერთობას იწვევს მათი განცალკევებითი (ინდივიდუალური) სისუსტე. აქედან ცხადია, რამდენად საზოგადოებაში წევრი სუსტია, უფლებას მოკლებულია, იმდენად ის მეტს საჭიროებას გრძნობს ერთობაში და იმდენად უფრო აფასებს ამ ერთობისათვის ხელმისაწვდენ საშუალებას—ენას... დემოკრატიამ განავითარა ენა. ორატორული ხელოვნება, წიგნობრობა და სიტყვის დაფასება—ეს დემოკრატიის პირმშო შვილია, მისი აუცილებელი იარაღი (გვ., 547).“

ენა პირველად უბრალო, ინსტიქტიურად წამოძახილი ხმა იყო, რომელიც შეიძლება უნებლიეთ აღმოხდებოდა გულიდან ცხოველს იმ სხვა-და-სხვა სიხარულის და მწუხარების გამოსახატავად, რომელსაც გრძნობდა იგი მის გარშემო არსებულ ბუნების ზედ-გავლენით. ამა თუ იმ ცხოველს ასეთი ხმა აქვს და არა ისეთი, ეს აიხსნება მხოლოდ იმ გარეშე პირობებით, რომლებშიაც იმყოფება იგი. ეს კანონი არსებითად შეუცვლელი დარჩა ადამიანისათვისაც. ამ კანონს ემორჩილებოდა ადამიანური ენის წარმოშობა, მისი განშორება პირუტყვული „ენისაგან“ და შემდეგი განვითარება.

„ენა ერისა, ამბობს უშინსკი, არის საუკეთესო ყვავილი მისის ცხოვრებისა, ყვავილი დაუმჭკნარი, რომელიც მუდამ, შეუწყვეტლივ იფურჩქნება. ენაში იხატება მთელი ერი და მისი სამშობლო. ენაში, ერის შემოქმედების ძალის წყალობით, იქცევა აზრად, სურათად და ხმად ცა სამშობლოსი, მისი ჰაერი, მისი ფიზიკური მოვლენანი, მისი ჰავა, მისნი მინდორ-ველნი, მთანი და ღელენი, ტყენი და მინდორნი, ელვა-ქექანი და ქარიშხალი... გარნა დედა ენის კამკამა სიღრმეში იხატება არა მარტო ბუნება სამშობლო ქვეყნისა, არამედ მთელი ისტორია ერის სულიერის ცხოვრებისა; თაობანი ერთი-მეორის შემდეგ ჰქრებიან, მაგრამ ნაყოფნი მათის მოქმედებისა რჩებიან ენაში ჩამომავლობის საკუთრებად. დედა-ენის სალაროში სტოვებენ თაობანი ერთი-მეორის შემდეგ ნაყოფსა: გულის ღრმა მოძრაობისას, ისტორიულს მოქმედებას, რწმუნებისას, აზრისას, სტოვებენ კვალს გამოვლილის სიხარულისას და მწუხარებისას“ („გოგებ., გვ. 16). „როცა რომელიმე თაობა სწავლობს დედა-ენასა, იგი იძენს აზრისა და გრძნობის ნაყოფს ათასთა წინანდელთა თაობათა, რომელნიც დიდი ხანია მიწათ არიან ქცეულნი.“ (იგ., გვ. 17).

„დედა-ენა გამომდინარეობს ბავშვის ბუნებიდან, როგორც ხმა საკრავ იარაღიდან, ანუ, სულ რომ მდაბიური გამოხატულება ვიხმაროთ—ბავშვში ჩასახულია დაბადებიდანვე დედა-ენა და მის გარშემო მყოფნი თავისიანნი უფრო ბების როლს თამაშობენ, ვიდრე მასწავლებლისას“. (იგ., გვ. 29). საქმეც ეს არის, აქ არის ცენტრი საკითხისა. ადამიანის ფიზიკური აგებულება, ნაზი, უხილავი განვითარება მისის უდიდეს ორგანოებისა ათასი წლობით შეთვისებია ამა თუ იმ ენას. მას არ შეუძლია უვნებლად, ვისიმე ძალდატანებით, ან ბრძანებით, უკუაგდოს თავისი დედა-ენა. ენა, სამშობლო ენა იმგვარივე აუცილებელი საჭიროებაა მისის არსებობისათვის, როგორც რომელსამე მცენარისათვის თბილი, თუ ცივი ჰავა. ცხელი სამხრეთის მცენარე, ან ცხოველი ვერ გასძლებს ყინვიან ჩრდილოეთში; ან თუ გასძლებს, ვერასოდეს ვერ განვითარდება სავსებით. როგორც მზის სხივი აუცილებელია ყვავილის გასაფურჩქნავად, ისე საჭიროა ადამიანის განსავითარებლად მისი დედა-ენა. ენა მისი ორგანიზმის სულიერი ატმოსფეროა, რომლის შუქი უნდა შეეხოს ადამიანის ყველა, ხშირად უხილავ, შორს მიმალულ, ნაზს ორგანოს, რომ აამოძრაოს მთელი ადამიანი, გაანვითაროს ყოველივე მასში დაფარული ძალა. ადამიანი როდესაც იბადება, მხოლოდ პოტენციალური ძალაა, მისი ასეთი თუ ისეთი განვითარება, მისი გონება და გრძნობანი კი არ არის თავის თავად არსებული მოვლენა. ერთისა და მეორესთვისაც აუცილებლად საჭიროა შესაფერი პირობები, შესაფერი ატმოსფერა, და როდესაც დედა-ენას ვუსპობთ ადამიანს, ჩვენ ვაბრკოლებთ მის სულიერ განვითარებას, ვავნებთ მის ფიზიკურ ზრდასაც...

ადვილად გასაგებია, როგორ ასუსტებს ზნეობრივად ადამიანს, როგორ უფუჭებს ხასიათს ის გარემოება, რომ იგი ვერ ვითარდება თავის სამშობლო ენაზე, მთლად ვერ იშლება მისი ორგანიზმი შესაფერ წრეში, და ბავშობაშივე იძულებულია მიიღოს ცოდნა სხვა არ შესაფერ ენაზე. ამ პირობებში იგი ვერასოდეს ვერ განვითარდება, ვერასოდეს ვერ იქნება ძლიერი ვერც ხასიათით, ვერც ცოდნით. ეს „ორთავიანობაა“, ამბობს ბ. სურგულაძე. არა, კიდევ მეტია: მთელის ორგანიზმის ორად გაჭრაა, და ასე გაჭრილი ორგანიზმი დიდხანს ვერ იცოცხლებს, სულიერად მარტო კი არა, ფიზიკურადაც!

დრო არის, თავი დავაღწიოთ ასეთ დამასახიჩრებელ პირობებს!...

* *

გარდაიცვალა ბ. ველიჩკო...

ჩვენს გაზეთში ამ დღეებში დაიბეჭდება ვრცელი წერილი იმის შესახებ, თუ როგორ უყურებდა განსვენებული ლიტერატურული პროკონსული ქართველებს. ამიტომ მე სიტყვას არ გავაგრძელებ. Pro mortuis aut nihil, aut bene-ო, ნათქვამია... სიკვდილი ისეთი რამაა, რომელიც ათანასწორებს ყველას და ყველაფერს. სიკვდილის წინაშე ერთდებიან არამც თუ ადამიანები, არამედ ადამიანები და პირუტყვებიც.

მართალია, მაგრამ როდესაც წარმოვიდგენ უბედურ მდგომარეობას, როდესაც დავიხატავ წინ გალატაკებულს ადამიანს, გაცივებულს, შიშველს, მშიერს და გამხმარს, ყველაფერს მოკლებულს, რომელსაც ტირილის და ლაპარაკის ნიჭიც-კი დაუკარგავს, როდესაც წარმოვიდგენ, როგორ დასცინიან ამ ადამიანს, როგორ შეაფურთხებენ, როგორის ზიზღით და სიძულვილით უყურებენ და როგორ ეშმაკურად გაუღიმებენ ხანდახან, რომ კიდევ უფრო დასტანჯონ,—მაშინ მე არ შემიძლია ვსთქვა: aut bene, aut nihil!

ყოველ ადამიანის გულის სიღრმეში დამარხულია წმინდათა წმინდა, რომლის შეურაცხყოფას ვერავის, ვერავის ვერ აპატიებს!..

სიტყვა

ლად წითელია. მაგალითად, ეხლანდელ გამოფენაზე გამოკიდულ სურათის „ვერის ხიდი“-ს უკანა ნაწილი—მთები და წინა ნაწილი ერთნაირად და ერთის ფერით არის განათებული. აქ ზახაროვი, უეჭველია, ბუნებასაც ღალატობს. იმისი ორი ეტიუდი №№ 252 და 253 კარგია, თავისუფლად არის დახატული, თავის წითელი ფერისთვის უღალატნია და კარგადაც მოქცეულა. ზახაროვი ბაშინჯაგიანისა და ზანკოვსკისგან მაინც იმით განირჩევა, რომ იგი ახალს გზას ეძებს და ადრე თუ გვიან, უეჭველია, მეორე ჯგუფს, ე. ი. ფოგელსა და ამს. შეუერთდება. ჯერ-ჯერობით კი იგი ორ ჯგუფს შუა სდგას და ეხლანდელი მისი სურათები თავის ნაზი ფერებით უფრო პირველ ჯგუფს, ე. ი. ბაშინჯაგიანს და ამას, უერთდება. ბაშინჯაგიანს შეურყეველი, წყნარი წყალი, თვალწარმტაცი, ვარდის ფერი ღრუბლები და ლამაზ ნისლით გარემოცული ლამაზი ბუნება უომელოდ შეჰყვარებია. იმისი დიდი სურათი „გოგჩის ტბა“ იმავე ავტორის წინანდელ სურათის მეორე ჭანგზე განმეორებაა. ბაშინჯაგიანის „შემოდგომა“ და „ზამთარი“ საიმქვეყნოა, საარაკოა. როცა იგი ბუნებას უჭვრეტს, თვალებზე ვარდის ფერი სათვალეები აქვს აფარებული. ზანკოვსკი, ზახაროვი და ბაშინჯაგიანი მჭიდროდ იმით არიან შეკავშირებულნი, რომ სამივე ბუნებას აღმერთებენ, აიდეალებენ და ყველგან ისეთს რამეს ეძებენ და ჰხატვენ, რაც კაცის თვალს თავის ნაზი ფერებით ატყუებს, ატკბობს, იტაცებს და ამიტომ, როცა მხატვარი ათასნაირ ნაზ და ლამაზ ფერით კოხტად შეზავებულს სურათს გიხატავთ, ეს სურათი ან არა ჩვეულებრივია, ანაც ძალიან იშვიათი მოვლენაა. მართალია, ამისთანა იშვიათ მოვლენის აღნიშვნაც შეიძლება, მაგრამ როცა მხატვარს იგი სათაყვანებელ საგნად და მუდმივ ტემად გადუქცევია, ეს ბუნების და მასთან მხატვრის ერთფეროვნებას, ცალმხრივობას და, ამ შემთხვევაში, ბუნების გაიდეალებას ნიშნავს. ბაშინჯაგიანს ჩუმი და წყნარი ღამის ხატვა ძალიან ეხერხება და იმის ნამდვილი დანიშნულებაც—ღამეა.

სულ სხვა მიმართულებისანი არიან ფოგელი, სკლიფასოვსკი, ტატევოსიანი და თოიძე. ამ ორ ჯგუფთა შორის შემდეგი განსხვავებაა: პირველნი წვრილად, გაუბედავად ჰხატვენ და სამხატვრო იარაღს (КИСТЬ) ემსახურებიან. მეორენი კი, ფოგელი და ამხ., პირიქით, ფართოდ და გაბედულად მუშაობენ, წამლებს სქლად უსვამენ, სამხატვრო იარაღის სრული ბატონები არიან, ბუნებას არ აიდეალებენ და არ აზვიადებენ. პირველნი სალონურ ეფექტებს მისდევენ, სანტიმენტალურ ფერებს ხმარობენ და ამიტომ იმათი ბუნებაც სანტიმენტალური და რომანტიული გამოდის. მეორენი კი გუნების და კაცის სულიერ მდგომარეობის (настроеніе) გამომხატველთა მომხრენი არიან, ბუნებას ნათლად და ფხიზლად უყურებენ და ამით მხატვრობაში ახალ მიმართულებას უერთდებიან. პირველთა სურათებს წამლების ფერებით, ბუნების განათებით და სამხატვრო იარაღის გაუბედავად ხმარებით იცნობთ, მეორეებს კი ფართო, თავისუფალ მუშაობით და იმით, რასაც რუსები широкій размахъ და густая намазка-ს უწოდებენ.

ამ მიმართულების წარმომადგენელი ფოგელია და ნიმუშადაც შეიძლება იმისი დიდი სურათი „საღამო“ ავიღოთ. სურათი ცოცხლად, ძლიერად, ფართოდ არის დახატული, შორიდან სრულს ილიუზიას ახდენს და საღამოს ნამდვილ „სულიერ მდგომარეობის“ გამომხატველია. კარგია იმისივე ეტიუდი „გომბორზე“. სკლიფასოვსკიც იმავე მიმართულებას ადგა და იმისი „გომბორის მიდამოები“ და ორივე სურათი „წისქვილი“ ყურადღების ღირსია. თოიძემ თავის წინანდელი უმთავრესი ნაკლი, სურათების გაუნათებლობა—სრულიად მოიშორა და ეხლა რამდენიმე ძალიან კარგი სურათი გამოფინა. საუცხოვოდ და ცოცხლად არის დახატული „მწვადი“, „ვაჭარი“, „მაგიდასთან“, ესკიზი „საშჯელდო“ და ეტიუდი „კალო“. უკანასკნელი, ჩვენის აზრით, თოიძის სურათების შედევრია. მხატვარს ყველა თავის სურათი მართლად და ბუნებრივად გაუნათებია. ამ მხრივ „კალო“, „მაგიდასთან“ და „ვაჭარი“ იმის წინანდელსა და სინათლეს მოკლებულს სურათებზე გაცილებით მაღლა სდგას. მრევლიშვილს წინ დიდი ნაბიჯი გადაუდგავს და საშუალოდ უფრო მრავალფერ წამლებსა ხმარობს. კარგია იმისი J. M-ის პორტრეტი და ეტიუდი №-196. ტატევოსიანის დიდის სურათის „პორტრეტის“ უკანა ნაწილი საუცხოვოდ არის დახატული. აკოფიანის სურათებ შორის ყველაზე კარგი „მწყემსი“ და „ბიბლიოთეკაში“-ა. მხატვარს ქალს შულცს დაჩაგრულთა და ღარიბთა წრეებიდან პატარა სცენების ხატვა ძალიან ეხერხება. კარგია იმისი „სეირნობა“. შმერლინგის რამდენიმე პატარა ეტიუდი „მოხუცი დედაკაცები“ და „ქურთების ტიპები“ ცოცხლად არის დახატული და მხატვარს მათთვის, წინანდელ დიდ სურათებთან შედარებ ით, გაცილებით მეტი სინათლე მიუცია.

ქანდაკების განყოფილება მეტად სუსტი, ღარიბი და უფერულია. გამოფენაზე არც გაბაშვილისა და არც ნიკოლაძის ნაწარმოები არა სჩანს.

თავისუფალი მონა

პრესსა

„ცენტრი (რუსეთის შიდა გუბერნიები) გალატაკდა, შველა უნდა, განაპირა ქვეყნების ზრუნვამ შეგვჭამაო“, გაიძახიან რუსულ პრესის ცნობილ მიმართულების წარმომადგენელნი; ის კი ავიწყდებათ ან განგებ ივიწყებენ, რომ განაპირა ქვეყნები კიდევ უარეს მდგომარეობაში არიან, რადგან ცხოვრების პირობები აქ უფრო გაძნელებულია, რადგან ეს განაპირა ქვეყნები მოკლებულნი არიან ცხოვრების გაუმჯობესების იმ მცირე საშუალებათაც, რომელნიც შიდა გუბერნიების მცხოვრებლებს ხელთ აქვთ.

მით უფრო მეტის სიამოვნებით ჰკითხულობ სამართლიან აზრს ამ კითხვის შესახებ, განსაკუთრებით როცა აზრის გამომთქმელი რუსია. ბ. შჩერბინას დაუწერია „ობლასტნოე ობოზრენიე“-ში:

> კარგი მანამდე უნდა ილაპარაკო, სანამ არ გაგიგონებენო და სწორედ ამას საჭიროებენ ჩვენი განაპირა ქვეყნები. ბევრი თქმულა და ეხლაც ამბობენ, რომ ეს განაპირა ქვეყნები ასაკში მოვიდნენ, წინად არსებული საგანგებო პირობები განქრნენ და რომ ამიტომ დროა მათზედაც გავრცელდეს საერთო სამოქალაქო კულტურა.
>
> უკანასკნელ 40 წლის განმავლობაში განაპირა ქვეყნების ცხოვრების პირობები შესამჩნევად ხშირად ძირიანადაც შეიცვალა. ადუღდა შინაგანი ცხოვრება, რომელიც მოქალაქობრივობას ითხოვს.
>
> ამიტომ აუცილებელი საჭიროებაა ყველა მცხოვრებლების გაერთიანება მოქალაქობრივ სწორ უფლებიანობის ნიადაგზე...
>
> ცხოვრებას თავისი გააქვს. არა მარტო კერძო პირები და კერძო ჯგუფები, არამედ მთელი მასა იმსჭვალება იმ აზრით, რომ ასე ცხოვრება და საქმის გაძღოლა, როგორც ჩვენ, რუსები, ვცხოვრობთ და ვსაქმობთ, შეუძლებელია. საადმინისტრაციო ღონისძიებანი, ესა თუ ის წვრილმანი ცვლილება დაწესებულებათა, ნამდვილ ცხოვრების ზედაპირზე გლინავს. საჭიროა ისეთი რეფორმები, რომელნიც ცხოვრების შინაგან მხარესა და პიროვნების გაზრდას ეხებოდნენ.

ბ. შჩერბინას, ალბად, სავსებით ვერ ჰქონია გათვალისწინებული განაპირა ქვეყნების მდგომარეობა. განაპირა ქვეყნის „ობივატელი“ კი, ის „ობივატელი“, რომელიც ფიზიკურადაც გრძნობს ამ მდგომარეობის სიმძიმეს, ძლივს იმის ნატვრას ბედავს, რომ სწორ-უფლებიან მოქალაქედ აღიარონ.

თეატრი

ქართულ თეატრში დღეს, 18 იანვარს, ბენეფისია ახალ გაზრდა მსახიობ-ქალის ტასო აბაშიძისა. წარმოსადგენათ დანიშნულია შემდეგი ორი პიესა: „იქვით ავადმყოფი“ მოლიერისა და „ბებიას სალერლელი“, ვოდევილი.

დონის როსტოვი. როგორც უკვე ვწერდით, თავ. სუმბათაშვილის პიესა „ღალატი“ ორჯელ წარმოადგინეს აქ ზედი-ზედ 6 და 7 დეკემბერს. მესამედ წარმოადგინეს 31-ს, მეოთხედ 3 იანვარს და მეხუთედ—11 იანვარს. ორი ბენეფისი იყო. თეატრის დარბაზი ყოველთვის ისე იყო გაჭედილი, რომ ნემსის ყუნწი არსად ჩავარდებოდა. ხალხს ძალიან მოსწონს ეს პიესა და კიდევ ათჯერაც რომ დადგან, თეატრი ხალხით გაჭედილი იქნება.

დაბა-სოფლები

სოფ. მეჯვრისხევი (ქართლი). ის ის იყო წარსული წელიწადი ცოცხით უნდა მიგვეგავა წყევლა-შეჩვენებით კრონოსის კარამდე და საუკუნო დავიწყებისათვის მიგვეცა, რომ ბედმა იხსნა იგი და ჩვენ მიერ მისდა შესამკობად განზრახული ანათემა გაიძვერა კაცივით თავიდან აიცილა. მისდა საბედნიეროდ, იმის თარელში—დეკემბრის თვეში—ჩვენმა ორკლასიანმა სკოლამ იბარტყა. საზოგადოების სასიამოვნოთ—იმის წყურვილის დასაკმაყოფილებლათ—ჩვენ სკოლასთან დაარსდა ქალთა განსაკუთრებული განყოფილება. დიდი ხანია ამ ნაკლს საზოგადოება ჰგრძნობდა, მაგრამ თხოვნითაც ვერ თხოულობდა ულონობის, შეუძლებლობის გამო. დღეს ეს ნაკლი თვით მთავრობამ შეავსო და ქალთა განყოფილების მასწავლებლის ჯამაგირსაც იგივ მთავრობა ტვირთულობს. დიახ, ეს ბედი წარსულს წელს ერგო, ამითი მოინადირა ჩვენი მწყრალი გული და ამ გვარად იგი დავიწყების მაგიერ ჩვენის საზოგადოების ხსოვნაში საპატიო ადგილს დაიჭერს. დაგვიარსდა ქალთა სკოლა, მიღებულ იქმნა 40 მოსწავლე, დაინიშნა მასწავლებელი ქალი და დღეს სწავლა რიგზე მიმდინარეობს. ამნაირად დღეს ჩვენ სკოლას 140 მოსწავლეზე მეტი ჰყავს; ეტყობა, სასწავლებელიც ვერ იტევს და დრო მოვა, გაფართოვდეს იგი. ღმერთმა ინებოს.

წარსულს ზაფხულს აქ მითქმა-მოთქმა იყო, სამრევლო-საეკლესიო ქალთა სკოლა დაარსებულიყო, მაგრამ, როგორც ეტყობა, ჩვენზე წინად ჩვენთვის სხვას უფიქრნია და უკვე ნაყოფით ვსიამოვნობთ. ღვთის წინაშე, კარგი კი იქნებოდა მეჯვრისხევის საზოგადოებას „სმატრიტელს“ გარდა ვინმე „ზავედივაიუშჩიც“ ჰყოლოდა, ვისთვის რა საზარალო იქნებოდა თავისი ნამსახურობითი სია ამ ეპიტეტითაც შეემკო. მაგრამ რას იზამს კაცი, სოფელი უნდოა!

დიახ, ყოველივე ეს კარგი და საამოა, მაგრამ ჩვენი მასწავლებელნი რომ ხშირად უჯამაგიროდ არიან, ეს კი ვერაფერი სასიამოვნო მოვლენა გახლავთ. ქვეყანაზე ბევრი რამ მოწესრიგდა, ბევრს სენს წამალი გამოუგონეს, კუზიანების გასწორებაც კი გამოიგონეს და სოფლის მასწავლებელთა შიმშილის დაკმაყოფილებას კი ვერა ეშველა-რა. ოცი, ოცდახუთი მანეთი გქონდეს თვიური ჯამაგირი ამ მძიმე სამუშაოში, რომელსაც მასწავლებელი ყოველ დღე ეწევა, და ისიც თვის ოცში ვერ მიიღო—ეს სწორედ სასჯელია. ორ-სამ თვეობით ელოდე არსებით სალსარს—ამ დროს განმავლობაში მწირი ბერივით სცხოვრობდე, ვალსაც ალარავინ გენდობოდეს—აუტანელი გარემოებაა! დიახ, საწუთროს ბევრი ჭირი სჭირებია და უპირველესი მსხვერპლი ამა ჭირისა სოფლის ბეჩავი მასწავლებელი ყოფილა. ჭეშმარიტად სოფლის მასწავლებელი ასკეტი უნდა იყოს, რომ შრომასთან ასეთი მოთმინება იქონიოს.

ორიოდე სიტყვაც ამავე სკოლაზე. ერთ თვალსაჩინო ნაკლს ჩვენის სკოლისას ის გარემოება შეადგენს, რომ სასკოლო საგანთა შორის გალობა ან არ არის შეტანილი პროგრამაში, ან თუ არის, ყურადღება არ ექცევა. ასეა თუ ისე, დღეს ამ სკოლაში არც საერო სიმღერას ასწავლიან, არც საეკლესიო გალობას. არც არის ვინმე სკოლაში მასწავლებელი მცოდნე გალობისა, რომელსაც თავს იდვას სწავლება ამა პატიოსანის, გამაკეთილშობილებელის საგნისა. ეს ნაკლი დიახ საგრძნობელია და სკოლა ბევრს, ძალიან ბევრს მოიგებდა საზოგადოების თვალში, უკეთუ მოხერხდებოდა იმნაირ მასწავლებლის დანიშვნა, რომელსაც ეს ნაკლი შეევსო. წარმოიდგინეთ, მეჯვრისხევის სამ სამრევლო ეკლესიაში ვერც ერთგან ვერ მოისმენთ ისეთს გალობას, რამაც გული გაგითბოთ. არც ერთ ეკლესიაში არ არის ისეთი დიაკვანი, რომელსაც ელემენტარული ცოდნაც არის ჰქონდეს გალობისა, ყველა თავის მიერ შეთხზულ ჰანგით გვიგალობს. ხოლო სკოლის მოსწავლენი, გალობაში დახელოვნებულნი დიდ სიამეს გვაგრძნობინებდნენ ეკლესიაში გალობით. მათ მშობელთ, მთლად საზოგადოებას სიამოვნების გრძნობა აღეძვრით.

Sèant

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 იანვარი

ყაზანი. საგუბერნიო ერობამ დაადგინა, მთავრობის წინაშე იშუამდგომლოს, რომ ერობას 200.000 მან. ვალად აღების ნება მიეცეს. ამ ფულით სკოლებისთვის სახლები უნდაააშენონ.

პავლოგრადი. ნოვომოსკოვის მაზრაში სახადი გაჩნდა.

მოსკოვი. საგუბერნიო ერობამ დაადგინა, მომავალ წელს ერობის სკოლების მასწავლებლებისთვის საზოგადო განათლების კურსები დააარსოს.

ნოვგოროდი. საგუბერნიო საკრებულომ ის აზრი გამოსთქვა, რომ საჭიროა ამორჩევის ცენზი დაიწიოს, ქალებს ამომრჩეველთა უფლება მიეცეთ და ხმოსნებად არჩევის ნებაც ჰქონდეთ.

პორტ-არტური. შეკრებილ ცნობებიდან სჩანს, რომ არც პორტ-არტურსა და არც ნაგასაკის „დობროვოლნი ფლოტის“ სააგენტოში იაპონელებს არ უმსახურნიათ და ის ხმა, ვითომ იგინი სამსახურიდან დაითხოვესო, მოგონილი ამბავია. სადგურ ლიაპთიანზე ხუნხუზნი ავაზაკნი საღამოთი ჩინელ მთარგმნელს თავს დაეცნენ, გაძარცვეს, დასჭრეს და მიიმალნენ; ავაზაკებს ეძებეს, მაგრამ ვერ იპოვნეს. როტმისტრს ლედინგს, როცა იმან კვანტუნის ოლქში ბიძივის ნაწილი ჩაიბარა, ხუნხუზებთან შეტაკება მოუხდა. დაჭრილია ერთი ყაზახი; მოკლულია 9 ხუნხუზი. „ნოვი კრაი“ ხუნხუზებთან ბრძოლის საკითხს არჩევს, მათ თავხედობას აღნიშნავს და ბოლოს ამბობს, რომ, რადგან ხუნხუზთა ბოროტი ქცევა ეხლანდელ სახელმწიფოებრივ ცუდ წესწყობილების ბრალია, ამიტომ მშვიდობიანობის დასამყარებლად საჭიროა მანჯურიაში ჩინელ მოხელეთა ნაცვლად დაინიშნენ რუსი მოხელენი.

ბერლინი. ბელგიის მეფე წავიდა. იმპერატორმა ვილჰელმმა სადგურამდე გააცილა.

პარიზი. საკასაციო სასამართლოს თავმჯდომარემ დრეიფუსის საქმეში გოიე მომხსენებლად დანიშნა.

რომი. განზრახულს ენციკლიკა პაპისა „ვეტო“-ს უფლების წინააღმდეგ აღარ გამოცხადდება.

სტამბოლი. მსოფლიო საპატრიარქოს სინოდმა არქიმანდრიტი სევასტიანე უსკიუბის მიტროპოლიტად აირჩია.

ტოკიო. („რეიტ. სააგ.“) სახელმწიფო მცოდნე მოღვაწენი იმპერატორის თანდასწრებით საბჭოდ შეიკრიბნენ. რუსეთის საჩქაროდ მზადება ომისთვის კორეის საზღვრებზე აქ დიდ მითქმა-მოთქმას იწვევს. იაპონიის მთავრობა შეუდგება 5% შინაგან სესხის აღებას. ეს სესხი 100 მილ. იენისაა. სახელმწიფო ხაზინას ნება მიეცა მიწის გადასახადი დანიშნოს. ამ გადასახადიდან შემოვა 25 მილ. იენი. განზრახულია შაქარზე ბაჟს მოუმატონ. მეტი შემოვა 15 მილ. იენი. 40 მილ. იენი ზოგიერთ საზოგადოებრივ მუშაობის შეჩერებიდან შემოვა. მეტი შემოსავალი, რომელიც ყოველ წლივ 80 მილ. იენამდე ადის, სამხედრო სესხის უზრუნველყოფისთვის გადაიდება.

პეკინი. („რეიტ. სააგენტო“-სგან) მანჯურიის გენერალ ჩენგჩიმ გარეშე საქმეთა უწყებას დეპეშით აცნობა, რომ რუსეთის მთავრობამ სამხედრო საჭიროებისთვის 500 ურემი მთხოვაო. გარეშე საქმეთა სამინისტრომ უპასუხა, რადგან ჩინეთმა ნეიტრალიტეტის დაცვა გადასწყვიტა, ამიტომ ჩენგჩის ნება არა აქვს რუსეთს თხოვნა შეუსრულოსო.

ქრისტიანია. სტორტინგის კომისიამ მიიღო კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც ქალებს ვექილობის უფლება ეძლევათ.

17 იანვარი

კოლომბო. („რეიტ. სააგ.“) იაპონიის სამხედრო გემები „ნისინი“ და „კასუგა“ დღეში გავიდნენ.

სეული. („რეიტ. სააგ.“) რუსეთის ათასი ჯარის-კაცი ანდუნში მოვიდა.

ბერლინი. კრეისერ „ხაბიხტი“-ს უფროსი იუწყება, ცნობა მოვიდა, რომ ოკაგანდთან კაფრები აჯანყებულთ შეუერთდნენ. მაიორი ალტენი გაგზავნილია მაჯდეხიაის ჟანდარმერიის მოწყობაში მონაწილეობის მისაღებად. ზოდფოლკენიუმს ტეულიამ კარუბებმს შეგრიკი გაგზავნა და შეტყობინება, რომ 2 იანვარს ორასი კაცი ოკაგანდ დაიჭირა და არტილერიის ერთის რაზმის გამოგზავნას თხოულობს. რაზმი, რომელიც ქალაქ ვინდგუკუს დასახსნელად წავიდა, 30 და 31 დეკემბერს უმ-ქმიდ იქნა. ვინდგუკუში მოსვლა-მოსვლა სრულიად შეწყვეტილია. ცეულდოისაგან გაგზავნილი 70 კაცისაგან შემდგარი რაზმი 7 იანვარს ვალდეს და ოკაზხაზს შუა ომი ჰქონდა. ნემცებს თითო კაცი მოუკლეს და სამი დაუჭრეს. მოწინააღმდეგეთ 20—25 კაცი მოუკლეს.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა, გაზეთ „გურიერ“-ის ცალკე ნომრებით გაყიდვა აკრძალული იქნება.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

დას მოწყალებისას

კრესტოვაია ჰსურს მოუაროს ავადმყოფებს. თანახმა სხვაგანაც წავყვეს ავადმყოფთან. ადრესი: ავლაბარი, ლაგოდეხის ქუჩა, № 6, ბინა № 5. (2—18—1)

გამოვიდა და იყიდება

საბერძნეთის ძველი ისტორია,

პრ. ზურლ ნორმანისა, ფრანგულიდან ნათარგმნი ვ. ლორთქიფანიძისა; 42 სურათით და ორის რუკით. ფასი ერთი მან.

„ცოდნა“ ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახელმძღვანელოები.

მიზანი „ცოდნის“ მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწდომ წიგნებისა. **მსურველთ** წიგნები ეგზავნებათ ფას დადებითაც.

იყიდება 1904 წლის კალენდრები. ადრესი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.

(50—2). წიგნის მაღაზიის გამგე **სოსიკო მერკვილაძე**

Дозв. ценз. Тифлисъ 17 января 1904 г. ელექტრო-სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ისა, (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)